KA030116312098620

№ 01-4929 **19 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებების შედეგად, პირველ მაისს ხელი მოეწერა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა (IBRD) და საქართველოს შორის სასესხო შეთანხმებას "COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტთან", ხოლო 12 მაისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის სასესხო შეთანხმებას „COVID-19- ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერ პროგრამასთან" დაკავშირებით.

პროექტები ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

კომპონენტი 1: COVID-19-ის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.

კომპონენტი 2: COVID-19-ის ეპიდაფეთქების შეკავების მიზნით სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი პირების დროებითი შემოსავლით უზრუნველყოფა.

კომპონენტი 3: პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი. კომპონენტი ხელს შეუწყობს პროექტის განხორციელებას.

პროექტების განმახორციელებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, პასუხისმგებელი იქნება ფინანსურ და ტექნიკურ ასპექტებზე, ასევე პროექტების ოპერაციულ განხორციელებაზე.

მე-3 კომპონენტის ფარგლებში, გათვალისწინებულია პოექტების განხორციელებელი ერთეულის (PIU) შექმნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ. PIU-ს უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს სამინისტრო. პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე, PIU-ში დასაქმდება 6 თანამშრომელი: პროექტის მენეჯერი, ჯანდაცვის სპეციალისტი/კონსულტანტი, სოციალური სტანდარტების სპეციალისტი, გარემოს სტანდარტების სპეციალისტი, ფინანსური მართვის კონსულტანტი, შესყიდვების სპეციალისტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 8 მაისს, ვაკანსიებისა და კონსკურსების ვებ-გვერდზე: www.jobs.ge-ზე განთავსდა 6 ვაკანსიის განცხადება შესაბამისი სამუშაოს აღწერილობებით. 14 მაისს, დღის ბოლოს განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ, შემოსულია 188 განაცხადი (იხ. დანართები):

- პროექტის მენეჯერი - 47
- ჯანდაცვის სპეციალისტი/კონსულტანტი - 29
- სოციალური სტანდარტების სპეციალისტი - 18
- გარემოს სტანდარტების სპეციალისტი - 22
- ფინანსური მართვის კონსულტანტი - 27
- შესყიდვების სპეციალისტი - 34
- არ იყო მითითებული პოზიცია - 11

განაცხადების შერჩევის, კანდიდატებთან გასაუბრების და შერჩეულ პირებთან კონტრაქტების გაფორმების პროცედურების წარმართვის მიზნით, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

თამარ გაბუნია

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე